

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს

დადგენილება №200

2013 წლის 27 აგვისტო

ქ. რუსთავი

„თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 18 დეკემბრის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 18 დეკემბრის №181 დადგენილებაში (სსმ, 24/12/2012, №190020020.35.160.016164) შევიდეს ცვლილება და დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის I და II თავები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რუსთავის საკრებულოს  
თავმჯდომარე

კახა გურგენიძე

დანართი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტი

თავი I

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტი

**მუხლი 1. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	36,902.7	39,929.0	41,160.4	26,411.0	14,749.4
გადასახადები	6,086.3	5,913.6	8,162.6	8,162.6	0.0
გრანტები	26,647.4	30,040.9	29,126.3	14,377.0	14,749.4
სხვა შემოსავლები	4,169.0	3,974.5	3,871.5	3,871.5	0.0
<b>ხარჯები</b>	<b>26,369.1</b>	<b>37,981.1</b>	<b>29,956.4</b>	<b>25,898.6</b>	<b>4,057.7</b>
შრომის ანაზღაურება	3,166.3	3,583.9	3,833.1	3,833.1	0.0
საქონელი და მომსახურება	6,915.3	7,431.4	9,219.2	9,086.3	132.9
პროცენტი	1,002.7	791.8	653.7	653.7	0.0
სუბსიდიები	4,630.1	12,723.9	7,638.1	7,638.1	0.0
გრანტები	6,200.0	4,450.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	2,415.9	2,999.2	3,515.8	3,515.3	0.5



სხვა ხარჯები	2,038.9	6,000.8	5,096.5	1,172.2	3,924.3
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>10,533.6</b>	<b>1,947.9</b>	<b>11,204.0</b>	<b>512.4</b>	<b>10,691.6</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>4,773.4</b>	<b>8,058.9</b>	<b>11,924.7</b>	<b>839.2</b>	<b>11,085.5</b>
ზრდა	8,559.2	10,069.8	13,491.3	2,405.8	11,085.5
კლება	3,785.8	2,010.8	1,566.6	1,566.6	0.0
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>5,760.1</b>	<b>-6,111.0</b>	<b>-720.6</b>	<b>-326.8</b>	<b>-393.8</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>5,239.3</b>	<b>-6,760.6</b>	<b>-1,615.9</b>	<b>-1,222.0</b>	<b>-393.8</b>
ზრდა	7,488.4	945.5	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	7,488.4	945.5	0.0		
კლება	2,249.1	7,706.1	1,615.9	1,222.0	393.8
ვალუტა და დეპოზიტები	1,300.1	7,586.7	1,615.9	1,222.0	393.8
აქციები და სხვა კაპიტალი	949.0	119.3	0.0	0.0	0.0
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-520.8</b>	<b>-649.6</b>	<b>-895.2</b>	<b>-895.2</b>	<b>0.0</b>
კლება	520.8	649.6	895.2	895.2	0.0
საგარეო	0.0	113.4	240.2	240.2	0.0
საშინაო	520.8	536.2	655.0	655.0	0.0
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

**მუხლი 2. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**  
განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსულობები</b>	<b>41,637.5</b>	<b>42,059.2</b>	<b>42,727.0</b>	<b>27,977.7</b>	<b>14,749.4</b>
შემოსავლები	36,902.7	39,929.0	41,160.4	26,411.0	14,749.4
არაფინანსური აქტივების კლება	3,785.8	2,010.8	1,566.6	1,566.6	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	949.0	119.3	0.0	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>35,449.2</b>	<b>48,700.4</b>	<b>44,342.9</b>	<b>29,199.7</b>	<b>15,143.2</b>
ხარჯები	26,369.1	37,981.1	29,956.4	25,898.6	4,057.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,559.2	10,069.8	13,491.3	2,405.8	11,085.5
ვალდებულებების კლება	520.8	649.6	895.2	895.2	0.0
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>6,188.3</b>	<b>-6,641.3</b>	<b>-1,615.9</b>	<b>-1,222.0</b>	<b>-393.8</b>



**მუხლი 3. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის შემოსავლები 42 727.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსულობები</b>	<b>41,637.5</b>	<b>42,059.2</b>	<b>42,727.0</b>	<b>27,977.7</b>	<b>14,749.4</b>
შემოსავლები	36,902.7	39,929.0	41,160.4	26,411.0	14,749.4
არაფინანსური აქტივების კლება	3,785.8	2,010.8	1,566.6	1,566.6	0.0
ფინანსური აქტივების კლება	949.0	119.3	0.0	0.0	0.0

**მუხლი 4. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის გადასახადები 8 162.6 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
<b>გადასახადები</b>	<b>6,086.3</b>	<b>5,913.6</b>	<b>8,162.6</b>
<b>ქონების გადასახადი</b>	<b>6,084.8</b>	<b>5,913.0</b>	<b>8,162.6</b>
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5,133.8	4,049.0	6,812.6
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	86.4	148.5	50.0
სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	52.7	45.7	0.0
არასასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	811.6	1,666.2	1,300.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.1	3.5	0.0
<b>სხვა გადასახადები</b>	<b>1.5</b>	<b>0.6</b>	<b>0.0</b>

**მუხლი 5. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის გრანტები 29 126.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>26,647.4</b>	<b>30,040.9</b>	<b>29,126.3</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები		0.0	13.4
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	26,647.4	30,040.9	29,113.0



გათანაბრებითი ტრანსფერი	17,041.4	14,684.9	13,863.6
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	500.0	500.0	500.0
<b>სპეციალური ტრანსფერი</b>	<b>9,106.0</b>	<b>14,856.0</b>	<b>14,749.4</b>
მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	56.0	0.0
მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	1,500.0	0.0
მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	1,106.0	3,000.0	0.0
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	8,000.0	10,300.0	14,749.4

**მუხლი 6. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3 871.5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>4,169.0</b>	<b>3,974.5</b>	<b>3,871.5</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	130.6	321.4	110.0
პროცენტები		150.6	
დივიდენდები	43.1	54.4	30.0
რენტა	87.5	116.4	80.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	48.4	55.2	50.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	39.1	61.2	30.0
<b>საკონელი და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>2,744.9</b>	<b>2,500.2</b>	<b>2,593.5</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>2,644.3</b>	<b>2,351.5</b>	<b>2,493.5</b>
სანებართვო მოსაკრებელი	53.7	168.5	120.0
სახელმწიფო ბაჟი	0.0	0.0	
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	3.2	8.2	2.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,583.8	1,134.8	1,271.5
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,003.6	1,039.8	1,100.0



სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.2	
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>100.6</b>	<b>148.7</b>	<b>100.0</b>
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	100.6	148.7	100.0
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>1,280.2</b>	<b>868.9</b>	<b>950.0</b>
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	10.1	0.0	
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>3.2</b>	<b>283.9</b>	<b>218.0</b>

**მუხლი 7. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ხარჯები 29 956.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>26,369.1</b>	<b>37,981.1</b>	<b>29,956.4</b>	<b>25,898.6</b>	<b>4,057.7</b>
შრომის ანაზღაურება	3,166.3	3,583.9	3,833.1	3,833.1	0.0
საქონელი და მომსახურება	6,915.3	7,431.4	9,219.2	9,086.3	132.9
პროცენტი	1,002.7	791.8	653.7	653.7	0.0
სუბსიდიები	4,630.1	12,723.9	7,638.1	7,638.1	0.0
გრანტები	6,200.0	4,450.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	2,415.9	2,999.2	3,515.8	3,515.3	0.5
სხვა ხარჯები	2,038.9	6,000.8	5,096.5	1,172.2	3,924.3

**მუხლი 8. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 11 204.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 13 491.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა		
				სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	112.2	308.8	156.9	156.9	0.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	11.8	16.1	27.7	27.7	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	7,093.3	5,710.5	10,725.0	1,099.6	9,625.5



04 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	0.0	0.0	484.7	484.7	0.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1,341.9	4,034.4	2,088.5	628.5	1,460.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	8.5	8.5	0.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>8,559.2</b>	<b>10,069.8</b>	<b>13,491.3</b>	<b>2,405.8</b>	<b>11,085.5</b>

ბ) განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 1 566.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	437.4	2,010.8	1,566.6
ძირითადი აქტივები	3,348.4	1,010.2	470.0
არაწარმოებული აქტივები	3,348.4	1,000.6	1,096.6
მიწა	437.4	1,000.6	1,096.6

**მუხლი 9. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**  
განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა		
				სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	11,922.8	11,508.1	8,073.4	8,073.4	113.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების სამიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4,720.2	6,242.1	7,284.9	7,284.9	113.4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების სამიანობის უზრუნველყოფა	4,720.2	6,242.1	6,715.5	6,715.5	0.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	569.4	569.4	113.4
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	134.8	134.8	0.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.0	0.0	134.8	134.8	0.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	972.9	791.8	653.7	653.7	0.0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	6,200.0	4,450.0	0.0	0.0	0.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	29.8	24.2	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	258.4	271.3	346.9	346.9	0.0



7021	შეიარაღებული ძალები	258.4	271.3	346.9	346.9	0.0
<b>703</b>	<b>საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</b>	<b>953.0</b>	<b>858.5</b>	<b>1,000.6</b>	<b>1,000.6</b>	<b>0.0</b>
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	313.3	141.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	639.7	717.5	1,000.6	1,000.6	0.0
<b>704</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>3,256.2</b>	<b>5,179.1</b>	<b>582.0</b>	<b>582.0</b>	<b>8,926.1</b>
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	1,510.7	0.9	0.0	0.0	0.0
70443	მშენებლობა	1,510.7	0.9	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	1,745.6	5,178.2	582.0	582.0	8,926.1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,745.6	5,178.2	582.0	582.0	8,926.1
<b>705</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>3,161.7</b>	<b>2,476.5</b>	<b>2,809.1</b>	<b>2,809.1</b>	<b>0.0</b>
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	1,855.7	2,392.6	2,686.3	2,686.3	0.0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	1,306.0	83.9	122.8	122.8	0.0
<b>706</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	<b>8,419.6</b>	<b>16,987.2</b>	<b>5,629.1</b>	<b>5,629.1</b>	<b>4,043.1</b>
7061	ბინათმშენებლობა	3,760.1	13,722.7	1,941.0	1,941.0	3,315.9
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2,142.4	420.7	920.2	920.2	499.8
7063	წყალმომარაგება	0.0	106.2	0.0	0.0	0.0
7064	გარე განათება	1,713.6	1,180.7	1,277.0	1,277.0	135.4
7066	სხვა არკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	803.4	1,556.8	1,490.9	1,490.9	92.0
<b>707</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>214.0</b>	<b>218.9</b>	<b>215.0</b>	<b>215.0</b>	<b>0.0</b>
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	214.0	218.9	215.0	215.0	0.0
<b>708</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>3,390.6</b>	<b>6,753.1</b>	<b>3,641.9</b>	<b>3,641.9</b>	<b>1,460.0</b>
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,565.3	4,026.3	1,456.4	1,456.4	0.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,806.3	2,594.7	1,996.2	1,996.2	1,460.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	19.0	132.1	189.3	189.3	0.0
<b>709</b>	<b>განათლება</b>	<b>1,536.5</b>	<b>1,687.3</b>	<b>3,062.1</b>	<b>3,062.1</b>	<b>600.0</b>
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,435.6	1,680.2	3,050.8	3,050.8	600.0
7092	ზოგადი განათლება	100.9	7.1	11.3	11.3	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	100.9	7.1	11.3	11.3	0.0
<b>710</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>1,815.5</b>	<b>2,110.8</b>	<b>2,944.4</b>	<b>2,944.4</b>	<b>0.5</b>
7101	ავადმყოფთა დაშვებულდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	172.2	274.3	600.0	600.0	0.5
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	172.2	274.3	600.0	600.0	0.5



7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	869.0	1,016.6	1,122.0	1,122.0	0.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	25.7	22.1	25.0	25.0	0.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	103.7	121.9	150.0	150.0	0.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.0	0.0	70.1	70.1	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	644.9	676.1	977.4	977.4	0.0
<b>სულ</b>		<b>34,928.4</b>	<b>48,050.8</b>	<b>43,447.6</b>	<b>28,304.4</b>	<b>15,143.2</b>

**მუხლი 10. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-720.6) ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-1,615.9) ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1,615.9 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-895.2) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტში გათვალისწინებული ვალდებულებების დაფარვა შეადგენს 240.2 ათასი ლარს;

ბ) მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტებში თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ გასასტუმრებელი ვალდებულებები შედგენს 655.0 ათასი ლარს, კერძოდ:

- გზების რეაბილიტაცია – 624.4 ათასი ლარი;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები ურნების შექმნა – 30.6 ათასი ლარი.

**მუხლი 13. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 350.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის გადაწყვეტილების შესაბამისად.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 563.7 ათასი ლარი, მიიღართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 201.8 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 346.9 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 12.0 ათასი ლარი;

დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3.0 ათასი ლარი.



2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

## თავი II

### თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

#### მუხლი 15. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

##### 1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული ღონის ამაღლება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ.რუსთავში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

##### 1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა არსებული ტექნიკური ბაზის განახლება/შეკეთება და საჭირო სამაშველო და სახანძრო აღჭურვილობის შეძენა, მეხანძრე-მაშველთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

##### 1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქ. რუსთავში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

#### 2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

##### 2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. რუსთავში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ასევე ახალი და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

##### 2.1.1 გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)



ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებული შიდაგზებისა, ეზოებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია, რაც მოიცავს მთლიან ქალაქს და თითქმის ამოიწურება მოსახლეობაში უგზოობის პრობლემას.

### 2.1.2 ქუჩებში საგზაო ნიშნების შექმნა–მონტაჟი (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქში რამოდენიმე ადგილას მოეწყობა საგზაო ნიშნები რაც გაზრდის მოქალაქეთათვის და ავტომობილის მძღოლთათვის კომფორტულად გადაადგილების შესაძლებლობებს.

### 2.1.3 GPS მოწყობილობების პროგრამული უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებულ გაჩერებებზე მოწყობილ საინფორმაციო ტაბლოებზე დაყენებული GPS სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რათა მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია სხვადასხვა მარშრუტის მოძრაობის დროის შესახებ.

## 2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ქ. რუსთავის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

### 2.2.1 საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი სახლების სახურავებისა და დაზიანებული ლიფტების რეაბილიტაცია (საჭიროების შემთხვევაში ახლის მონტაჟი); ასევე დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგოების განვითარება, სამოქალაქო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. ამხანაგოები მოსახლეობის ჩართულობის პრინციპით განხორციელებენ მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სხვადასხვა კომუნალური პირობების მოწესრიგებას.

### 2.2.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა.

### 2.2.3 დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გავთალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. დაფინანსდება ახალი ნაგავსაყრელის ადმინისტრაციული ხარჯები რათა იფუნქციონიროს სრული დატვირთვით, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და



ეკოლოგიურ მდგომარეობას, ასევე ახალი ნაგავსაყრელისათვის შეძენილ იქნება ტექნიკა და გაწულ იქნება საკონსულტაციოს ხარჯები.

#### **2.2.4 ააიპ „უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, შადრევნების მოვლა-პატრონობის სამუშაოები; ასევე ქალაქის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სხვადასხვა ობიექტები, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება თვითმმართველი ქალაქის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მათი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და უცხო პირთა ხელყოფისაგან დაცვის მიზნით.

#### **2.2.5 მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა (პროგრამული კოდი 03 02 06)**

რუსთვის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

### **2.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შადრევნების ექსპლოატაცია, გამწვანებისა და გადაბეღვის ღონისძიებები, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, მერიის შენობის წინ მდებარე მოედანზე დეკორატიული სკამების მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

#### **2.3.1 გამწვანებისა და გადაბეღვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული გამწვანების სარწყავი წყლის ხარჯი.

#### **2.3.2 სკვერების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 03)**

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სკვერების, მემორიალისა და ძეგლების მოწყობა/რეაბილიტირებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები და რეაბილიტირებულ სკვერებში დასამონტაჟებელი სავარჯიშო ტრენაჟორების შეძენა.

#### **2.3.3 არასაცხოვრებელი შენობების რემონტი (პროგრამული კოდი 03 03 04)**

ქალაქის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებია, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა, რა დროსაც არსებული სარემონტო სამუშაოებით ხდება უფრო მეტი დაზიანებებისა და შესაბამისად მეტი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თავიდან აცილება.



### **2.3.4 მერიის შენობის წინ მდებარე მოედნის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოედანზე დამატებით სკამების მონტაჟი ან/და დეკორატიული საყვავილებების დადგმა და ვიდეოთვალის კაბელის შექმნა/მონტაჟის სამუშაოები.

### **2.3.5 მეგობრობის გამზირზე კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მეგობრობის გამზირზე მდებარე დაზიანებული შუაგამყოფი ზოლის აღდგენა/რეაბილიტაცია.

### **2.3.6 სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 08)**

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### **2.3.7 ენერგოეფექტურობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 09)**

პროგრამით გათვალისწინებულია თვითმმართველ ქალაქ რუსთავსა და ასოციაცია „უკრაინის ენერგო ეფექტური ქალაქები“-ს შორის 2011 წლის 2 მაისს გაფორმებული მერების შეთანხმების ფარგლებში 2020 წლისათვის რუსთავის ტერიტორიაზე CO<sub>2</sub> ემისია, რითაც დაიზოგება შენობიდან სითბოს გადინება და ამავე დროს შემცირდება ელ. ენერგიის მოხმარება.

### **2.4 მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 03 04)**

2013 წელშიც კვლავ აქტუალური რჩება შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. ავტობუსების მძღოლების ხელფასების მატება, საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის დოტაციის გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

### **2.5 ავტობუსების შექმნა და გადახდის დამაფიქსირებელი აპარატების მონტაჟი (პროგრამული კოდი 03 05)**

მოქალაქეთა კომფორტულად გადაადგილების მიზნით დაგეგმილია ქალაქში არსებული ავტოპარკის განახლება და რამოდენიმე ავტობუსის შექმნა. ასევე ავტოტრანსპორტში დამონტაჟდება გადახდის დამაფიქსირებელი აპარატები.

## **3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**



მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ინკლუზიური სწავლების დაფინანსება.

### 3.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)

პროგრამას ახორციელებს ააიპ „რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანება“; ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 5 500 მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში სწავლება სექტემბრის თვიდან იქნება უფასო. დაგეგმილია რამოდენიმე ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია.

### 3.2 ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“ (პროგრამული კოდი 04 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება რუსთავში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი, სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 140-მდე ბენეფიციარი. ასევე 2013 წელს მოხდება მომუშავეთა ხელფასების 30%-ით გაზრდა.

### 3.3 ინკლუზიური სწავლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება რუსთავის საჯარო სკოლებში მოსწავლე უნარშეზღუდული ბავშვების განათლების მიღება პედაგოგის ბინაზე მომსახურებით.

## 4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

### 4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

#### 4.1.1 სპორტული სკოლების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რუსთავის სპორტული სკოლების გაერთიანების“ დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს 4 სპორტულ სკოლას და 1300-მდე სპორტსმენს; გაერთიანება მოიცავს სპორტის 24 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

#### 4.1.2 რაგბის კლუბის „რუსთავის ხარები“ (პროგრამული კოდი 05 01 03)



ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რაგბის კლუბის რუსთავის ხარები“-ს ფინანსურ მხარდაჭერას.

#### 4.1.3 საკალათბურთო კლუბი „რუსთავი 1991“ (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება შპს „საკალათბურთო კლუბი რუსთავი 1991“-ის ფინანსურ მხარდაჭერას.

#### 4.1.4 სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ლეონიძის ქუჩის მიმდებარე სკვერში მოეწყობა სპორტული მოედნები.

### 4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი წარმოდგენები.

#### 4.2.1 კულტურული ღონისძიებები (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება რუსთავექალაქობისა და შობა/ახალი წლის ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები.

#### 4.2.2 სახელოვნებო სკოლები (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 300-მდე მოსწავლე; 1 სამხატვრო სკოლა. სადაც სწავლობს 50-მდე მოსწავლე და 1 ხელოვნების სკოლა სადაც სწავლობს 100 მოსწავლე.

#### 4.2.3 კულტურის სახლები (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

- ააიპ „რუსთავის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ყველა თაობის ნიჭიერ შემოქმედთა ხელშეწყობა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, პოპულარიზაცია, ტრადიციების აღორძინება; გაამძაფროს საზოგადოების ინტერესი თეატრალური ხელოვნებისადმი და მოიზიდოს ყველა თაობის მაყურებელი.
- ააიპ „კულტურის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის მივიწყებული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.



#### 4.2.4 მუზეუმი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 04)

